საქართველოს რესპირაციული ასოციაცია
Georgian Respiratory Association

#02/12 18 დეკემბერი 2017 წ

რეცენზია გაიდლაინზე
„ტუბერკულოზის მართვა“

მომზადებულს აივ ინფექცია/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ხელშეწყობით

ტუბერკულოზის მართვის ეროვნული გაიდლაინის 2015 წელს შეიქმნა. ორი წლის განმავლობაში ტუბერკულოზის მართვის საერთაშორისო რეკომენდაციებში ბევრი რამ შეიცვალა, ცვლილებები შეეხო ხანმოკლე MDR-TB სამკურნალო რეჟიმის გამოყენება, ხანგრძლივი MDR-TB სამკურნალო რეჟიმის შედგენას, MDR-TB პაციენტის მკურნალობაში ქირურგიული ჩარევის გამოყენებას, ფილტვგარეშე ტუბერკულოზის სტეროიდული მკურნალობას და სხვა. ასე რომ შემდეგ მისი განახლება ნამდვილად მნიშვნელოვანი და საჭიროა.

ტუბერკულოზი კვლავ რჩება მსოფლიო ჯანდაცვის სერიოზულ პრობლემად: 2016 წლის მონაცემებით, ტუბერკულოზით ავადობამ 10.4 მილიონი შეადგინა. დაფიქსირდა 6.3 მილიონი ტუბერკულოზის ახალი შემთხვევა. 1.3 მილიონი აივ ნეგატიური და 374 000 აივ პოზიტიური პირი გარდაიცვალა ტუბერკულოზით. 600 000 ახალი შემთხვევა დაავადდა რიფამპიცინისადმი რეზისტენტული ტუბერკულოზით, მათგან 490 000 პაციენტი კი მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან ტვირთად რჩება ტუბერკულოზი საქართველოშიც. 2016 წელს ჩვენს ქვეყანაში ტუბერკულოზის სულ 3 330 შემთხვევა დარეგისტრირდა, მათგან 2 983 - ახალი და რელაფსის შემთხვევა იყო. რიფამპიცინისადმი რეზისტენტული (RR-TB) და მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი (MDR-TB) აღირიცხა ახალი შემთხვევების 11%-სა და ტუბერკულოზის წარსულში ნამკურნალევ შემთხვევათა 31%-ში [http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0014/310046/TB-surveillance-report-2016-Georgia.pdf].

Georgian Respiratory Association, Iashvili Central Children Hospital, Ljubljana str. 2/6, Tbilisi, Georgia.
Tel.: (995-32) 530033 (216); e-mail: gra@georanet.org.ge, www.georanet.org.ge

გაიდლაინის სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (საბჭოს დებულება მუხლი 4, პუნქტი 14) და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

გაიდლაინი ითვალისწინებს ჯანმო-ს უახლეს რეკომენდაციებს აივ/ტუბერკულოზის კო-ინფექციის დროული გამოვლენის და მკურნალობის შესახებ; გაიდლაინში ასახულია მულტი- და ექსტენსიურად რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვის ახალი პრინციპები; ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების უსაფრთხოების და ეფექტურობის შესაფასებლად ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე ჯანმო-ს 2016 წლის რეკომენდაციით მედიკამენტები რეკლასიფიცირდა/გადაჯგუფდა, რაც ასევე ასახულია რეცენზირებად გაიდლაინში; გაიდლაინში ასევე ასახულია 2016 წელს ჯანმო-ს კვლევებზე დაყრდნობით განახლებული რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული ყველა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტის (ბავშვების და მოზრდილების) მკურნალობის რეკომენდაციები; 2016 წელს ჯანმო-ს რეკომენდაციებს დაემატა მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაცია რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების ქირურგიული მკურნალობის შესახებ, რაც ასევე ასახულია გაიდლაინში; ასევე მოყვანილია ჯანმო-ს ევროპული რეგიონის 2017 წლის გამოცემით ტუბერკულოზის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის და მონიტორინგის განახლებული ალგორითმები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გაიდლაინის ავტორთა მულტიპროფესიულ ჯგუფში თავმოყრილია ყველა ის ექსპერტი, რომელიც დღეს განსაზღვრავს საქართველოში ტუბერკულოზის მართვის სტრატეგიას და ტაქტიკას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გაიდლაინის მიღება აქტუალური და დროულია, მისი შემუშავებისთვის შესრულებულია ძალიან დიდი სამუშაო (გაიდლაინის მოცულობა 242 გვერდს შეადგენს), გაიდლაინი ეყრდნობა უახლეს საერთაშორისო რეკომენდაციებს და მეცნიერულ მტკიცებულებებს, ამდენად იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქართველ ექიმებს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის და მართვის გაუმჯობესებაში.

ივანე ჩხაიძე



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი,
მ.იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,
საქართველოს რესპირაციული ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე,
პულმონოლოგიაში აკრედიტაციის ევროპული საბჭოს (EBAP) ექსპერტი

საქართველოს თერაპევტთა ასოციაცია

ASSOCIATION OF THERAPEUTISTS OF GEORGIA

0144, თბილისი, წინანდლის № 9

0144, Tbilisi, Tsinandali str. № 9

18.XII.2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს

რეკომენდაცია

ჯანდაცვის სისტემაში რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების საბოლოოდ გადაჭრის მიზნით ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს ახალი სადიაგნოსტიკო და სამკურნალო რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინის და პროტოკოლების მუდმივ განახლებას მოითხოვს. შესაბამისად, აქტუალური და აუცილებელი ხდება ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრის მიერ 2015 წელს აივ ინფექცია/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მხარდაჭერით შექმნილი ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინის და პროტოკოლების განახლება. რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ფთიზიატრებისათვის, ასევე თერაპევტებისა და მომიჯნავე სპეციალობების ექიმთათვის, ვინაიდან ტუბერკულოზის დროული გამოვლენა და ფთიზიატრიულ ქსელში მიმართვა მათი საერთო პასუხისმგებლობა და მოვალეობაა.

საქართველოს თერაპევტთა ასოციაციამ განიხილა ტუბერკულოზის მართვის განახლებული გაიდლაინი, რომლის სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციების და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ თავს. კერძოდ, გაიდლაინი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია, სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების დიაგნოსტიკა, სამკურნალო რეკომენდაციები, ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობისათვის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენების გამოვლენა და მართვა, სტაციონარულ და ამბულატორიულ დონეზე პაციენტის მართვის თავისებურებები და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ტუბერკულოზის მართვის განახლებულ გაიდლაინში რეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხების შესახებ მოცემული უახლესი ინფორმაცია მნიშვნელოვნად გაზრდის პაციენტის მოვლის ხარისხს დაავადების მართვის ნებისმიერ დონეზე.

საქართველოს თერაპევტთა ასოციაცია შუამდგომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინიტროს პროფესიული

განვითარების საბჭოს წინაშე და დადებით რეკომენდაციას აძლევს ტუბერკულოზის მართვის განახლებულ გაიდლაინსა და პროტოკოლებს.

საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის
ხელმძღვანელი, პროფესორი დავით გორდელაძე

ASSOCIATION OF THERAPEUTISTS OF GEORGIA
206141986